

პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმის პერსპექტივები

9 თებერვალი, 2015 წელი

*პროკურატურის კონსტიტუციური სტატუსი და მისი ადგილი
ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში*



კოალიცია
დამოუკიდებელი
და გამჭვირვალე
მართლმსაჯულებისთვის
Coalition for
an Independent and
Transparent Judiciary

რეფორმის უმთავრესი მიზანი

- ◆ პროკურატურა გამოეყოს აღმასრულებელ ხელისუფლებას და ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელი ორგანოდ.

სისტემის დამოუკიდებლობის გარანტიები:

- ◆ მთავარი პროკურორის არჩევის წესი / სუბიექტები;
- ◆ ანგარიშვალდებულების სისტემა;
- ◆ თანამდებობიდან გათავისუფლების წესი და საფუძვლები;

მთავარი პროკურორის არჩევა: ორი მოდელი

- ◆ მთავარი პროკურორის არჩევა პარლამენტის მიერ, პრეზიდენტის წარდგინებით;
- ◆ მთავარი პროკურორის კანდიდატურის შერჩევა პრეზიდენტის მიერ, პრემიერ-მინისტრის წარდგინებით, მთავარი პროკურორის არჩევა პარლამენტის მიერ, პრეზიდენტის წარდგინებით;

მთავარი პროკურორის არჩევა

- ◆ ერთი ვადა;
- ◆ რომელიც არ უნდა ემთხვეოდეს საპარლამენტო არჩევნების ციკლს. (შესაძლოა, იყოს 7 წელი);
- ◆ კანდიდატურის დაყენების უფლება უნდა ჰქონდეს საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს;

მთავარი პროკურორის არჩევა

- ◆ გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ უნდა არსებობდეს განუსაზღვრელი დისკრეცია;
- ◆ კანონით განსაზღვრული პროცედურა და კრიტერიუმები;

კრიტერიუმები

- უნდა აკმაყოფილებდეს კანონით დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს;
- განათლება, პროფესიული გამოცდილება, პიროვნული მახასიათებლები;
- არ იყოს ჩართული პოლიტიკურ საქმიანობაში;

შერჩევის პროცესი

- ◆ აპოლიტიკური, პროფესიული წრეების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული საკონსულტაციო საბჭო;
- ◆ კანონით დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობის შეფასება;
- ◆ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრებები;

მთავარი პროკურორის ანგარიშვალდებულება

- ◆ მთავარი პროკურორი ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე;
- ◆ თუმცა ეს არ გულისხმობს მის ანგარიშვალდებულებას კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების გამო;
- ◆ გარკვეული პერიოდულობით (არანაკლებ წელიწადში ერთხელ), საჯარო ანგარიშს წარადგენს პარლამენტში;
- ◆ ანგარიში ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისათვის;

- ◆ მთავარი პროკურორის თანამდებობიდან გადაყენება იმპიჩმენტის წესით;

სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელება მთავარი პროკურორის მიმართ

- ◆ დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი,

ან

- ◆ უზენაესი სასამართლო/ მისი სისხლის სამართლის საქმეთა პალატა/ ან სპეციალურად ამ მიზნისათვის საგანგებოდ გაწერილი წესით შექმნილი დროებითი პალატა.

გმადლობთ